ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 14 1883—1893 15—30 ივლისს.

## უკეთესი იქნება, რომ შინაურ მართვა-გამგეობასაც მიექცეს ყურადღება.

ამას წინეთ აღიძრა კითხვა, რომ გაემრავლებიათ როგორც ქორ-ეპისკოპოსების ისე დამოუკიდებელი ეპარქიების რიცხვი მთელს იმპერიაში. ყველანი ცხადათ ხედვენ, რომ ჩვენი საქმე საზოგადოდ დამწყესისა, სწავლა-ქადაგებისა, მოძღვრებისა და მართვა-გამგეობისა ისე არ მიდის, როგორც სასურველია. ამიტომ ყველას სურს, რომ ყველა ესეები სასურველად მიმდინარეობდეს. იყო დრო, როდესაც სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესობისა და მისი მოვალეობის უფრო რიგიანად და ჯეროვანად აღსრულებისათვის სამრევლოები შეამოკლეს. იყო დრო, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ ეპარქიების რიცხვი შემოკლებულიყო ეპარქიალური საქმეების მართვა-გამგეობის გაუმჯობესობისათვის. ძველი დროის ეპარქიების, ეკკლესიების, მღვდელ-მთავრების და მღვდელთა სიმრავლე ერთის მხრით შეუძლებლად მიაჩნდათ. მაგრამ ეს ძველი დრო თავიდგან მოგვშორდა. დადგა ახალი დრო თავისი ახალი მოთხოვნილებით. ძველ დროსთან შედარებით დღეს სასულიერო წოდების ყველა მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა ყველასთვის თვალსაჩინოა. ასი წლის წინეთ კაცი ვერ წარმოიდგენდა ნივთიერი მდგომარეობის ისე გაუმჯობესობას, რასაც დღეს ვხედავთ სასულიერო წოდებაში. და მადლობა ღმერთს, ჩვენი მზრუნველი მართებლობა ნიადაგ ცდილობს ამ ნივთიერი მდგომარეობის

უმეტესად გაუმჯობესობას. ყველა მოელის და რიგიც არის მოელოდნენ ჩვენი შრომიდგან უმეტესს ნაყოფს...

ამ ბოლო დროს წინეთ არა შეწყნარებული სიმრავლე მწყემსთ-მთავართა და მწყემსთა დღეს მრავალთაგან შეწყნარებულია და სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობის განსამტკიცებლად დიდ სიკეთეს მოელიან ამ სიმრავლისაგან. და ჭეშმარიტად ეს აზრი ნამდვილიც არის. მაგრამ მარტო მწყემსთ-მთავართა და ეპარქიათა სიმრავლე, თუ მათი მართვა-გამგეობა რიგიანად არ იქმნა გარკვეული, მტკიცედ არ იქმნა განსაზღვრული და ასრულებული, ჩვენი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა საქმეს ვერ დაეხმარება.

დიდი ხანია, რაც გამოითქვა ის აზრი, რომ ჩვენ კონსისტორიათა წესდებულება, თუმცა მშვენიერად არის იგი შედგენილი, ყველგან ისე არ სრულდება, როგორც სასურველია. ძნელად წარმოიდგენს კაცი, თუ როგორ მდგომარეობაში ვარდება ხან-დი-სხან სოფლის მწყემსი სულ უბრალო საქმეებისა გამო. ამასთან ვინც კარგად აკვირდება ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობას, მის წეს-წყობილებას და ზნე-ჩვეულებათა, ბევრს იმისთანა რამეს შენიშნავს, რომელსაც ძველ დროში ადგილი არ ჰქონებია, შესაწყნარებელი და მისაღები არ იყო.

ეპარქიების მართვა-გამგეობა მთლად დამოკიდებულია ეპარქიის მთავრობაზე. ამ შემთხვევაში ზოგიერთები ხელმძღვანელობენ იმ აზრით, რომ ძველ დროშიაც ასე სწარმოებდა ეპარქიების მართვა-გამგეობის საქმეო. მაგრამ ახალმა დრომ ბევრი რამ ისეთი კითხვა წამოაყენა წინ, რომელთა განმარტებისათვის სულ სხვა ზომები და გამჭრიახობა არის საჭირო. ამისათვის ძლიერ საჭიროა და სასარგებლოც, რომ მწყემსთ-მთავართა და ეპარქიების გამრავლებასთან ერთად ყურადღება მიექცეოდეს ეპარქიების რიგიანად მართვა-გამგეობის საქმესაც.

დეკ. დ. ღამბაშიძე

---

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების მე-XXXII კრება ქ. ქუთაისში, 22, 23 და 24 ივნისს 1893 წ.

(გაგრძელება *)

ივნისის 24 რიცხვს, დილის ერთს სხდომაზე, განხილულ და დამტკიცებულ იქმნა წარსულის წლის ანგარიში სასწავლებლისა.

შემდევ სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა-აღრიცხვის დამტკიცებისა და სასწავლებლის პანსიონის დახურვისა, დეპუტატება დაიწყეს ბაასი დედათა სასწავლებლის გამგეობის თავ- მჯდომარის დეკ. ცაგარეიშვილის ზემო მოხსენებული რაპორტის გამო. მ. დეკ. ცაგარეიშვილმა განუმეორა კრებას, რომ მას თავის გარდაწყვეტილება დაერღვია იმ კითხვების შესახებ, რომელიც რაპორტში იყო მოხსენებული. ამასთან უმტკიცებდა კრებას, რომ მიუცილებლად პანსიონი გაეხსნათ დედათა სასწავლებელში, დაენიშნათ კომიტეტი სასწავლებლის შენობის გადასაკეთებლად და მოსაწყობად, და გარდაეცათ 10000 მან., რომელიც სამღვდელოების კრებამ ქალების სასწავლებელს შესწირა და რომელსაც ქუთ. სას. ოთხ-კლასიანი სასწავლებლის სამმართველო არ იძლევაო.

დეკ. დ. ღამბაშიძე. ქალების სასწავლებელს სამღვდელოებამ თავის საკუთარი ფული შესწირა 45.400 მან. ამას გარდა გაიწერა გარდასახადი ყოველ წლივ შესატანი. ყველა წყაროებიდან შეკრებილი ფული ყოველ წლობით ქალების სასწავლებელის სასარგებლოდ შესდგება 8000 მან. ეს ფულები სრული საკმარისია ამ სასწავლებლის ყველა საჭიროებათათვის. ყოველ წელში შეგროვილი ფულებიდამ, სანამ ყველა კლასები გაიხსნებოდეს, იმდენი გადაგვრჩება, რომ სასწავლებლის შენობასაც გადააკეთებს და ყველა მოთხოვნილებასაც სასწავლებლისას დააკმაყოფილებს. 10,000 მანეთი, რომელიც სასწავლებლის კასაში გვაქვს, უნდა დარჩეს სამღვდელოებას და მან უნდა იგი მოიხმაროს საჭიროების დროს სასწავლებელზე. დეკანოზი ბრძანებს, რომ პანსიონი თუ არ იქნა ქალების სასწავლებელში, არ შეიძლება უპანსიონოთ შვილების ხეირიანად აღზრდაო.

*) იხ. „მწყემსი"-ს № 13 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარქიის სასწავლებელში პანსიონი დავხურეთ, რადგან ზარალის მეტი სარგებლობა ვერა დავინახეთ. მეორე ადგილას კი უნდა გავხსნათო, თორემ საქმე არ გაკეთდებაო. როცა პირველად გარდავსწყვიტეთ საქალებო სკოლის გახსნა, მაშინვე გამოვაცხადეთ, რომ ეს სასწავლებელი უნდა ყოფილიყო უპანსიონოთ. პანსიონი უნდა ყოფილიყო სასწავლებელში, მაგრამ თვითოეულ მოსწავლეს უნდა შეეტანა თავის სარჩო ფულად თთვეში ათ მანეთამდე. ჩვენ ვშინჯეთ პანსიონის გამართვა იმ სასწავლებელში. მოვაწყეთ სასწავლებელში დასადგომი ოთახები. დავაყენეთ ერთი პატიოსანი ქალი, რომელიც თუმნად და ცოტა ნაკლებადაც თანახმა იყო აეყვანა შაგირდები თავის ხარჯზე. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ერთი მსურველი მოსწავლე არ აღმოჩნდა სასწავლებელში დადგომისა ამ ქალთან. ყველნი ამბობდენ, უფრო იოლათ გამოვდივართ კერძო ბინაზედო. მართალია, ქალიშვილების აღზრდას სულ სხვა თავ-დარიგი უნდა, მაგრამ არც ისე განაზება შეიძლება და ისე უბრალოდ ფულის ხარჯვა, როგორც ზოგიერთ ადგილას იციან. ახლო ხანად მე წავიკითხე ოდესის ეპარქიის ერთი საქალებო სასწავლებლის წლიური ხარჯის ანგარიში. ამ სასწავლებელში, როგორც სჩანდა ანგარიშიდგან, წელიწადში დახარჯულა 800 მანეთი ფერ-უმარილზე და სხვა კოსმეტიურ ნივთებზე. მათი წახედვა როდი არგია ჩვენს სამღვდელოებას, ჩვენ იოლათ უნდა წავიდეთ. თუ სასწავლებელი გაუკეთოთ სამღვდელოებას, მასწავლებლები დაუქირაოთ, თვითონ ნუ კი დაიშურებენ თავისი შვილების საზრდოს და რიგიან ბინაზე დააყენონ. სამეგრელოს სამღვდელოების შემოერთება სასწავლებლის საქმეში ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია. ვილას შემოვიერთებთ ჩვენ, როდესაც თვითონ ჩვენებს თხუთმეტამდე უარი უთხარით სასწავლებელში მიღებაზე.

თუ ადგილი იქნება სასწავლებელში და მთხოვნელი აღმოჩნდება ვინმე იმათგანი, არავის არ ვეტყვით უარს. რაიცა შეეხება აღმაშენებელ კომიტეტის დანიშვნას, ეს ეხლა მე ძლიერ მაკვირვებს. წარსულ წელშიდ თვითონ დეკანოზი ცაგარეიშვილი იყო იმ აზრის, რომ აღმაშენებელი კომიტეტი სასწავლებლისა, დაარსებული სამღვდელოების კრებისაგან, რომ ის წევრებათ თვითონ დეკანოზი ცაგარეიშვილი, მე, მამა ჭეიშვილი და ე. ს. თუთბერიძე ვიყავით, გაუქმებულიყო და კიდეც გაუქმდა. დღეს განაცხადებს, რომ აღმაშენებელი კომიტეტის დანიშვნა საჭირო არისო. თუ საჭირო იყო კომიტეტი, რაღაზედ აუქმებდენ? ამ კითხვამ დიდი ბაასი გამოიწვია დეპუტატებს შორის. კრებამ ერთხმად გარდაწყვიტა დაინიშნოს კომიტეტი, რომლის წევრებად იქმნენ აღრჩეულნი დეკ. დავით ღამბაშიძე, ბლაღოჩინები: ერმალოზ კანდელაკი და ილიანე აბესაძე. ამ კამიტეტს მიენდო შემუშავება ყველა აღძრული კითხვებისა ქალების სასწავლებლის შესახებ და ამ კამიტეტის აზრი უნდა მოხსენდეს შემდეგ რიგის სამღვდელოების კრებას.

კარგა ხან გაგრძელდა ბაასი ეპარქიალური გაბრიელის დედათა სასწავლებლის შესახებ და უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი საყურადღებო ამბები აღმოჩნდა. ზოგიერთი პირები სოფლის მღვდლის ოფლით და ვაებით ნაშოენ და შეკრებილ ფულებს სასწავლებლების შესანახავად ისეთის თვალით უცქერიან, როგორც ზოგიერთი საერო წოდების ბატონები ხაზინის ფულებს. ჩამოუგდეთ ერის კაცებს საუბარი დამატებითი ფულების მიღების შესახებ, აბა რა გითხრან!... ჯამაგირს იღებს კაცი 2000—3000 მ. უმსახურნია თანამდებობაზედ 10—20 წელიწადი, პენსიაც დაუმსახურნია. რაც წინათ იყო, ის აღარ არის; დასუსტებულა, დაღრდომილა, ვეღარ მუშაობს რიგიანად, სიბერეც შემოპარვია. მაგრამ ჯამაგირს გარდა იღებს ჯამაგირისოდენ ფულებს—«დამატებით ჯამაგირს». რისთვის? იმისთვის, რომ საქართველოში მსახურებს, და საქართველოში მსახურება, ხომ მოგეხსენებათ, რა საძნელოა! გასაკვირველია, რომ მესამე დამატებით ჯამაგირს არ აძლევენ. ვის შესტკივა გული ხაზინისათვის? ვის ეტყვის სინიდისი, რომ მეტი ფული არ აიღოს? ეს სიხარბე, ეს გაუმაძღრობა და ასე უპრალოდ ფულების ფანტვა, სამწუხაროდ, ჩვენს უწყებაშიაც საკმაოდ შემოვიდა. ზოგი სამღვდელოებისაგან შეკრებილი ფულების ხარჯვა-მოხმარებით გაგაოცებსთ. თავის ჯიბიდგან ერთ კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიკს ვერ გაამტყუნებთ, მაგრამ იგივე პირი სამღვდელოებისაგან შეკრებილ ფულებს ადვილად გასცემს! აი მაგალითებიც: წარსულ წელში როგორც ჩვენმა ვაჟების ისე დედათა სასწავლებლებმა რამდენიმე სამუშევარი გასცეს კანტრაქტით. ოსტატებმა გააკეთეს და ფულები ჩაიბარეს. საერო წოდებაში ზოგიერთმა ხუროთ-მოძღვრებმა და უფროსებმა მოუჩქარეს მეკანტრაქტეებს ხოლერის გამოისობით დამატებით ფულების მიცემა ხაზინიდამ. ხომ მოგეხსენებათ, რომ ბევრს ადგილას ლარი დაისვეს ხოლერის გაჩენის გამო ზოგიერთებმა. ამ პირებს წახედეს ჩვენმა მოკანტრაქტეებმაც, შეიტანეს თხოვნა, ხოლერამ დიდი ზარალი მოგვცა და მოგვიმატეთ ფულებიო. ზოგიერთმა ბატონებმაც გულკეთილობა გამოიჩინეს სამღვდელოების ფულებით და გარდასწყვიტეს: მიეცეს მათ დამატებით კიდევ ამდენი და ამდენიო. ნათქვამია: ლხინს არა სჯობია რა, თუ შენი არა იხარჯება რაო. სამღვდელოების ფულებით მოწყალების გაცემას რა სჯობია? მაგრამ ერთი ჰკითხეთ ამ ბატონებს, თავის ჯიბიდამ რამდენი ფული მოუმატეს გარიგებაზედ ამავე მოკანტრაქტეებს, როდესაც ხოლერობის დროს თავის სახლებზედ ამუშავებდენ? სრულებით არაფერი!...

დიაღ, ზოგიერთებს ფულები დაანახვეთ და მეტი არა არის რა საჭირო. ფულები უცოდინარს ხუროთ-მოძღვრად გახდის და ათასნაირ შენობათა გეგმას შეადგენინებს. ოღონდ ფულები იყოს და სასწავლებლების შენობას ათასნაირად და ათას ჯერ გადააკეთებენ, როგორც ჩვენი სასწავლებლის ბუხრები კეთდებიან ხოლმე ზედამხედველების გემოვნებაზედ დასაწყისიდამ...

იმედია ამ ბოლო დროს მაინც გამოიცდება სამღვდელოება და სასწავლებლების საქმეს კარგად დააკვირდება და შეკრებილ ფულებს რიგიან განსაზღვრულ გზას მისცემს. ჩვენ მაინც კიდევ ვიტყვით, პატრონი რომ იყოს, იმ ფულებით, რამდენსაც სამღვდელოება ხარჯავს ქუთ. სასულიერო სასწავლებელზე, ორ ამისთანა სასწავლებელს შეინახდა კაცი და საქმეც რიგიანად წავიდოდა.

**დეპ. გლ. ფოფხაძე.** შეუძლია თუ არა სამღვდელოების კრებას იქონიოს მსჯელობა გარდა იმ კითხვებისა, რომლის განსახილველად და გარდასაწყვეტად იგია მოწოდებული, თავის ზოგიერთ საჭირო საქმეებზედაც, თუ ეს საქმეები საზოგადოდ წინააღმდეგი არ არიან სამღვდელოების კრებათა წესდებულებისა? მე მივაქცევ სამღვდელოების ყურადღებას ერთ გარემოებას, რომელზედაც ლაპარაკი, ჩემის აზრით, საწინააღმდეგო არ უნდა იყოს არავისათვის. რა მიზეზია, რომ ასე ცოტა რიცხვი შაგირდებისა გაუგზავნიათ წელს ჩვენი სასწავლებლიდამ თფილისის სემინარიაში? მადლობა ღმერთს, სასწავლებელს ცოტა ფული არა აქვს არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ყველა მასწავლებლებს ჯამაგირზედ ცოტაოდენი ფული მოუმატეთ, ვგონებ ყოველ წელს, თუ ორში, არ მახსოვს კარგად, სასწავლებლის ფულებსაც იყოფენ საჩუქრად. ყველა სხვა სასწავლებლებში შაგირდების უმეტესი რიცხვი ღირსი ხდება შემდეგ სასწავლებელში გარდავიდეს და ამ ჩვენს ქუთაისის სასწავლებელში რაღა უბედურება არის, რომ ყოველთვის მცირე ნაწილი ათავებს ღირსეულად სწავლას და უმეტესობა უვარგისად. რით აიხსნება ეს სამწუხარო მოვლენა? მოვსთხოვოთ პასუხი სასწავლებლის მთავრობას.

**ი. დ. გაფრინდაშვილი.** თქვენ არ შეგიძლიათ პირდაპირ სასწავლებლის მთავრობას პასუხი მოსთხოვოთ. თქვენ გყავსთ სასწავლებლის სამმართველოში წარმომადგენელნი ორი წევრი და იმათ მოსთხოვეთ ცნობები ამ კითხვის შესახებ.

**დ. გ. ფოფხაძე.** მამაო ნ! (მიიქცა იქვე მყოფ წევრისადმი) თქვენ ბევრს რამეს გვპირდებოდი, როდესაც დაგაყენეთ წევრათ, მაგრამ ბევრში ცოტასაც ველარ ვხედავთ. გთხოვთ გვაცნობოთ, რა მიზეზია, რომ ასე ცოტას ეძლევა ნება თფილისის სასულიერო სემინარიაში შესვლისა. თუ მოწერილობას გვგზავნიან სემინარიიდამ, რომ ცოტა გამოგზავნეთო ადგილის უმექონლობისა გამო, სხვა სემინარიებში შესვლისათვის რისთვის აბრკოლებთ? თუ მართლა ის არის მიზეზი, რომ შაგირდები ცუდათ სწავლობენო, ამდენს ფულებს რაღაზედ გვახდევინებენ. ასე ცოტა შაგირდებმა რომ დაათავეს სწავლა პირველი ხარისხით, თქვენც სწორედ დარწმუნდით, რომ მართლა სხვები ღირსი არ იყვნენ მეტი ბალისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი ნ. შანგირაძე: მეოთხე კლასის შეგირდების გამომცდელ კომისიაში მე არ დავსწრებივარ და არ შემიძლია ვსთქვა ამაზე რაიმე გარდაწყვეტილი. გამომცდელი კომისიები ისე შეადგინათ, რომ ჩემთვის არ შეუტყობინებიათ, თორემ მე ვისურვებდი მეოთხე კლასის შეგირდების გამოცდას დავესწრებოდი. მე არ მინახავს მოწერილობა სემინარიის მთავრობისა, რომ ცოტა შაგირდები გამოგზავნეთო, თუ არის, არც ის ვიცი.

ამ კითხვამაც დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზედ. მრავალ გზის მოსთხოვეს პასუხი სამმართველოს წევრს მამა ნ. შანგირაძეს სხვა-და-სხვა კითხვების შესახებ და ბოლოს ერთხმად გარდასწყვიტეს სთხოვონ ყოვლად სამღვდელოს, მოეთხოვოს სასწავლებლის სამმართველოს, თუ რა მიზეზია, რომ ასე ცოტა შაგირდებს ეძლევა ნება სემინარიაში გადასვლისა; ამასთან შემდეგში მიაქციონ ყურადღება, რომ შაგირდების მომეტებულ რიცხვს მიეცეს უფლება სემინარიაში გადასვლისა და თუ თფილისის სემინარიაში არ იქნება ადგილი, შეუძლიათ რუსეთის სხვა სემინარიაში წავიდნენ, მიეცეთ მეორე ხარისხის შაგირდებს უფლება სემინარიაში შესვლისა, რადგან სასწავლებლის წესდება არ უკრძალავს მეორე ხარისხით კურს დამთავრებულთა სემინარიაში გადასვლას.

აგრეთვე დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე ერთმა სამწუხარო ამბავმა, რომელმაც ძლიერ დაალონა ყველანი. ეს ყველასათვის სამწუხარო ამბავი გახლავსთ ის, რომ ამ წელს სემინარიაში კურსდამთავრებულთაგან არც ერთი არ გაუგზავნიათ მაღალ სასწავლებელში —აკადემიაში. ამ კითხვის შესახებ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა დეკ. დ. ღამბაშიძემ. იმან განუმარტა სამღვდელოებას, რომ ჩვენ კუთხეს მომეტებულად ეჭირვება უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი პირნიო. ისეა დღეს ჩვენი ცხოვრება მოწყობილი, რომ ყოვლად შეუძლებელია მარტო სემინარიის «კურსოვნიკებით» წინ წავიდეთ. თუ აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი არ გვეყოლენ, ყველა შესამჩნევ ადგილებს სხვანი დაიკავებენ და ჩვენ ხელცარიელი დავრჩებით. გასაკვირველია სწორეთ ჩვენი შეხედულება მაღალ სასწავლებლებში შვილების გაგზავნისა. გიმნაზიებიდგან მარტო ორ-სამ პირს აძლევენ სტიპენდიას და დანარჩენნი თავიანთი ხარჯით მიდიან და კურსს ათავებენ. ვისაც შეძლება არა აქვს წავიდეს უმაღლეს სასწავლებელში, მათთვის მართვენ წარმოდგენებს, ფულებს კრებენ და ზოგს კიდევ სხვანაირად უმართვენ ხელს. ნუ თუ საექსარხოსოს სამღვდელოებას სამი კაცის გაგზავნა არ შეუძლია თავის ხარჯზე აკადემიაში? ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ პირველი წელიწადი როგორმე გასძლო აკადემიაში გაგზავნილმა პირმა, შემდეგ ბევრი რამ საშუალება აღმოუჩნდება მას თავის რჩენისა. ჩვენი ვალია ამ საქმეს ყურადღება მივაქციოთ და გამოვიდევნოთ თავიდამ ის აზრი, რომ ვისაც სემინარია არ გაგზავნის, მათ გარდა სხვა პირთა გაგზავნა ვითომ არ შეიძლებოდეს აკადემიაში. ხშირად ხდება, რომ ისეთები გაუგზავნიათ აკადემიაში, რომელნიც გონებით უფრო ნაკლებნი ყოფილან სხვაებზედ. ყველამ ეკზემენია უნდა დაიჭიროს და რომელნიც რიგიანად ნასწავლნი აღმოჩნდებიან, მათ მიიღებენ. ისეც მომხდარა, რომ სემინარიის სამმართველოდგან გაგზავნილნი და მოწონებულნი შაგირდები უკან დაუბრუნებიათ და სხვა მიუღიათ მათ ადგილზედ. შემდეგ დიდი ბაასისა ერთხმათ გამოითქვა ის აზრი, რომ ამ კითხვაზედ იქნეს მსჯელობა იმ კრებაზედ, რომელიც არის დანიშნული საექსარხოსოს სამღვდელოებისათვის ამა წლის 8 ოქტომბრისათვის.

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ამ კრებაზედ რომელიმე სემინარიელს სურვილი განეცხადებია აკადემიაში წასვლისა და საშუალება ეთხოვა სამღვდელოების კრებისათვის.

(შემდეგი იქნება)

## ორიოდე სიტყვა ს. ბ. თოფურიას სამკურნალოის შესახებ.

ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ბ. სამსონ თოფურიას კერძო სამკურნალოს. დაარსების შემდეგ ბევრი მომაკვდავი იხსნა სიკვდილისაგან და ბევრს გაჭირვებულს და მძიმე სნეულებით დავადებულ სხეულს მისცა საშველი ამ საავადმყოფომ. ბ. თოფურიას საავადმყოფოის ვრცელს ანგარიშში შემდეგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიტყობს საზოგადოება. ხოლო ამ ჟამად ამონგარიშიდამ მოგვყავს ზოგიერთი ცნობები.

სამის წლის განმავლობაში მოსიარულე ავადმყოფთა განყოფილებაში 11,547 ავადმყოფი მისულა 31,961-ჯერ. იქვე მოუხდენიათ 1065 გამოკვლევა (ანალიზი) ნახველისა თუ შარდისა და გაუციათ 320 მოწმობა. ამათგან უფასოდ მიუღიათ 2706 კაცი, უფასო ანალიზი—195 და უფასო მოწმობა—141. მწოლიარე ავადმყოფთა განყოფილებაში ყოფილა სულ 551 კაცი; ამათგან უფასოდ მწოლიარე ავადმყოფი ყოფილა 183 კაცი: ქუთაისის მაზრისა—30; სენაკისა—62, შორაპნისა—24, ზუგდიდისა—13, ოზურგეთისა—6, რაჭისა—4, ლეჩხუმისა—1, სუხუმის ოლქისა—6, ქ. ფოთის მცხოვრები—1 და ქუთაისისა—24 კაცი.

ამ 183-ს კაცს სამკურნალოში გაუტარებიათ 3146 დღე.

სამკურნალოში მძიმე ოპერაცია გაუკეთებიათ 208 და მსუბუქი 400-დე.

მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ თითო მისვლა სამკურნალოში ღირს 50 კ., თითო ავადმყოფის შენახვა და წამლობა დღეში 3 მ., ანალიზი 1—2 მანეთამდე და თითო მოწმობა 1 მ., დავინახავთ, რომ ბ. თოფურიას სამკურნალოში 11,224 მანეთის შემწეობა აღმოუჩენია ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთათვის. მაგრამ ეს სიკეთე მარტო ამ ჯამით არ აღირიცხება; ნუ დავივიწყებთ, რომ სანამ ბ-ნი თოფურია თავის სამკურნალოს გამართავდა, მრავალი მძიმე ავადმყოფი, განსაკუთრებით ხირურგიულნი საექიმოდ ტფილისს ან კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ და დიდძალ ფულსაც ხარჯავდნენ. დღეს-კი ეგ მეტი ხარჯი საჭირო არ არის და ავადმყოფს შეუძლია თვით ქუთაისში მოიპოვოს შესაფერი მოვლა და წამლობა.

რასაკვირველია, რომ ბ. თოფურიამ ამ მცირეს ხანში კიდეც დაიმსახურა ისეთი პატივი, რომელსაც მოკლებულნი არიან დიდის ხნის ნამსახურნი ექიმები.

## საზოგადოების საყურადღებოდ.

დიდი ხანია მიხვდა კაცობრიობა, თუ რა განძია ადამიანისათვის სწავლა-განათლება, გონებრივი განვითარება. ეხლა ეს აზრი ჭეშმარიტებად არის აღიარებული ყველგან და ყველასაგან. ჩვენაც, რასაკვირველია, არ უნდა გამოვაკლდეთ გონიერ კრებულს კაცობრიობისას და რამდენადაც ძალი და ღონე შეგვწევს, კიდეც უნდა გამოვცადოთ ამ ჭეშმარიტების სიმართლე თავის თავზედ—ვეცადოთ შეძლებისადაგვარად ხელი შევუწყოთ საკუთარს გონებრივ განვითარებას. ამ ხელის შემწყობ მასალად უნდა მივიღოთ დასტამბული გონებრივი სალარო, სადაც კვალი დაუჩენია და საყურადღებო ადგილიც დაუკვეთია ყოველ გონიერის ტვინის ნაწარმოებს, რაც კი აღმოცენებულა ოდესმე და სადმე დედამიწის ზურგზედ. ამისათვის ყოველ ადამიანისათვის ძვირფასი და სანატრელი უნდა იყოს ამ სალაროსთან კავშირი და კიდევაც უნდა ცდილობდეს კაცი გაადვილებულის გზით დაუახლოვდეს მას. ასეთ საშუალებად დასახა კაცობრიობამ წიგნთ-საცავები და სამკითხველოები. ეს დაწესებულება არის ისეთი ნაკადული საიდამაც ყოველ მსურველს ადვილად შეუძლია დაიკვეთოს წილი და მით დაიშთოს ცნობის-მოყვარეობის წყურვილი.

ამ ჟამად იხსნება დ. ყვირილაში წიგნთ-საცავი, რომელსაც მოკლეს ხანში მოემატება სამკითხველო წიგნებისა და დრო-გამოშვებით გამოცემათა. აქვე

შეიძლება მოიპოვოს მსურველმა ყოველგვარი წიგნი საკითხავი და სამოსწავლო.

განზრახული არის ძმობის დაარსება ყვირილის ახალ ეკკლესიასთან არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს სახელზედ. ამ ძმობას ექნება საკუთარი წესდება მართვა-გამგეობისა და სხვათა შორის უმთავრესი ყურადღება ექნება მიქცეული წიგნთ-საცავის რიგიანად წარმოებას ადგილობრივ პირობათა თანახმად. ამ წიგნთ-საცავს და სამკითხველოს ექნება მიზნად გაადვილებულის და ხან უსასყიდლო ღონისძიებითაც მიაწოდოს მკვიდრთა და მეზობელთა ყოველგვარი გონებრივი საზრდო და განამტკიცოს მათ შორის კითხვისა და განვითარების სურვილი.

წესდება ძმობისა და ყოველი პირობები წევრად ჩარიცხვისა და მონაწილეობის მიღებისა შემდეგში ეუწყებათ მკითხველებს.

აწმყო მდგომარეობა ამ საქმისა, ყოველივე პირობები წიგნთ-საცავის არსებობისა და სხვ. მონაწილეობის მიღების მსურველს შეუძლია შეიტყოს «მწყემსი»-ს რედაქციაში.

იმედია, თანამოძმეთა კეთილდღეობის თანამგრძნობელნი პირნი დაახლოებით გაეცნობიან ამ საქმის გარემოებას და საერთო ძალების დახმარებით სხვებთან ერთან მოიწადინებენ დაუდვან ისეთი სათავე ამ საქმეს, რომელიც პირნათლად აუსრულებს სასურველ მოლოდინს შეგნებულს ნაწილს საზოგადოებისას, და კარგადაც გაუნათებს გზას ბნელში მყოფს, გზა-დაბნეულ თანამოძმეს.

## პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

(წერილი მეხუთე)

(დასასრული *).

ძალიან კარგადაც რომ ჰქონდეს მასწავლებელს შეთვისებული და სწავლების საქმეში გამოყენებული ყველა შემუშავებული ფორმები და მეთოდები სწავლებისა—ამ უკანასკნელის საქმე მაინც რიგიანად ვერ წავა, თუ ეს ფორმები არ იქმნა განცხოველებული თვითონ მასწავლებლის მიერ. მასწავლებლის პიროვნებაზე, მისი გადაცემის თვისებაზე, გარეგან მანერებზე, მიხრა-მოხრაზე, ცოცხლად სწავლებაზე, თავის მოვალეობისადმი სიყვარულზე, მოწაფეების სწავლაში წარმატების ზრუნვაზე, მათ განვითარებაზე, ღვთის მოყვარეობაზე, თავის-თავის ღირსების გრძნობაზე, მოთმინებაზე და აგრეთვე ამათ წინააღმდეგ თვისებაზე არის დამოკიდებული სკოლის ბედი და უბედობა. ერთის სიტყვით ყოველს გონებითს და ზნეობითს პიროვნებას მასწავლებლისას აქვს დიდი გავლენა მის სწავლებაზე. მასწავლებლის პიროვნება ისე მოქმედობს მოწაფეზე, რომ გონებათა მიქცევა, რომელიც გამოიხატება მასწავლებლის სწავლებაში, გაიღვიძებს მოწაფის სულში, სადაც შესამჩნევად აღიბეჭდება ის ხასიათი, რომლითაც გამსჭვალულია მასწავლებელი სწავლების დროს—გულსმოდგინება, ინტერესი, კმაყოფილება, ყურადღება და სხვა, ან პირიქით მცონარება, უკმაყოფილება, გაფანტულობა, უყურადღებლობა—აღიბეჭდება ბავშვის გონებაში, თუ მასწავლებელიც ამ თვისებითაა აღჭურვილი. ცხადია ამისათვის, რომ ერთსა და იმავე მეთოდს, ანუ ერთსა და იმავე დიდაქტიურ წესს შეუძლია მიიღოს სხვა-და-სხვა სახე და მოიტანოს სხვა-და-სხვა შედეგი სხვა-და-სხვა მასწავლებელთა ხელში. აქ უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ მხოლოდ მარტო გარეგნობით პედაგოგიურ პირობათა შესრულებით—არა გულწრფელობა, თვალთ-მაქცობა, ფარისევლობა მასწავლებლისა არ გამოეპარებათ ბავშვებს შეუნიშ-

*) იხ. «მწყემსი», 11, 1893 წ.

ნავად. ისინი უკვირდებიან მასწავლებლს, ზედმიწევნით, დაწვლილებით გამოიცნობენ და შეისწავლიან მის თვისებათა, ხასიათს, თუ სიტყვებიდგან არა—მისი მოქმედებიდგან და განსაკუთრებით სწავლების დროს შემოღებულ წესებიდგან. მოწაფეები ძალიან მალე გაიგებენ, რით ხელმძღვანელობს მასწავლებელი—მოწაფეების სიყვარულით, თუ თავის სიყვარულით, ღვთის მოშიშებით, თუ კაცთა სათნოებით, რის თანახმაც იქნება მისი მოქმედება სწავლების დროს. მასწავლებლის სიტყვებიდგან არ შეიძლება არ გამოაშკარავდეს მის მიერ გულგრილად შესწავლა თავის საგნისა, მაშასადამე გულგრილად სწავლებაც, ან ცოცხალი და გულწრფელი სურვილი და მეცადინობა გადასცეს ბავშვებს თავის ცოდნა. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთათვის დიდი ფილოსოფოსის სოკრატის სიტყვებს. ერთხელ სოკრატმა სასწავლებლად მიბარებული ყმაწვილი ისევ უკან მიუყვანა მამას და უთხრა: «მე არ შემიძლია მაგის სწავლება, მისთვის რომ მე მაგას არ ვუყვარვარო». ამავე სოკრატმა სთქვა: «ის კაცი, ვისაც არ უყვარს და ისე უნდა სწავლება—ჰგავს ისეთს კაცს, რომელიც იჯარით იღებს მიწას და ჰფიქრობს მის გაუმჯობესობას კი არა, არამედ—უფრო მეტი გამორჩენა და სარგებლობა მიიღოს პირადათ; პირიქით ის, ვისაც უყვარს სწავლების საქმე და ისე ჰკიდებს ხელს, ის ჰგავს მინდვრის პატრონს, რომელსაც ყოველმხრიდგან მოაქვს ის, რასაც შეუძლიან გაამდიდროს საგანი მისი სიყვარულისა».

საზოგადოდ ყველა და კერძოდ პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლების ყველა უმთავრეს თვისებათა შორის საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს მოთმინებას, მასწავლებელს გული არ უნდა მოსდიოდეს, თუ გონებითი და ზნეობითი წარმატება მოწაფისა არ ამართლებენ მის მოლოდინს. ამით ბავშვები სრულიადაც არ ფიქრობენ შეურაცხყოფა მიაყენონ მასწავლებელს, არამედ ეს წარმოსდგება მათი სუსტი ძალისა გამო და ხშირად მასწავლებლის უმეცრების, პედაგოგიური უმეცრების ანუ დაუდევრობის გამო.

როდესაც მასწავლებელი დაწვლილებით განსაზღვრავს კვირაობით გაკვეთილების რიცხვს თვითოეულ განყოფილებაში ყველა საგნებისა, მან უნდა მიაქციოს აგრეთვე ყურადღება, თუ რამდენი გაკვეთილი და რომელ საგნებში და რა დროს თვითონ უნდა იმეცადინოს და რამდენი რჩება მასწავლებლის დამოუკიდებლად შესასრულებელი მოწაფეების მხრით. ამასთან მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს პირველ განყოფილებას, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ხშირად ითხოვს მასწავლებლის მხრით დახმარებას და ამიტომ რომელშიდაც რიცხვი დამოუკიდებელი გაკვეთილებისა, სხვა განყოფილებასთან შედარებით, მეტად მცირეა. უფროსი განყოფილების მოწაფეები უკვე შეჩვეულნი არიან სწავლებას. მათ კარგათ ესმისთ მასწავლებლის მოთხოვნილება, სკოლის წესიერება, შეგნებული აქვთ სხვა-და-სხვა უსაჭიროესი ჩვეულება—მაშასადამე მათთვის მცირედ არის საჭირო მუდმივი ყურადღება მასწავლებლისა, მისი ხელმძღვანელობა. ამას არ ვხედავთ პირველ განყოფილებაში: აქ მასწავლებლის შემწეობა-დახმარება მოითხოვება ყოველ ნაბიჯზე, აქ მასწავლებელმა უნდა უჩვენოს ბავშვებს—როგორ უნდა ისხდენ წერის დროს, როგორ უნდა დაიჭირონ კალამი, როგორ უნდა დაიდონ წინ რვეულები და სხვა.

მარტო განსაზღვრა დამოუკიდებელ სამუშაოთა რიცხვისა საკმაო არ არის, საჭიროა კიდევ განისაზღვროს თვით ხასიათი ყველა ვარჯიშობათა; ამისათვის უნდა გვქონდეს სახეში შემდეგი პირობები: ა) დამოუკიდებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს მოწაფის სულიერ ძალას; როგორც ძალიან ადვილი, ისე ძალიან ძნელი სამუშაო არ ვარგა, რადგანაც მოწაფეები ამ შემთხვევაში ან ვერ შეასრულებენ სამუშაოს მასწავლებლის დაუხმარებლად და ან მალე შეასრულებენ და შემდეგ უსაქმოდ დარჩენილნი ხელს შეუშლიან მასწავლებელს სხვა განყოფილებასთან მეცადინეობის დროს. ბ) დამოუკიდებელი სამუშაო უნდა თანშეზომილი იყოს მისთვის დანიშნულ დროსთან: რასაკვირველია ძალიან ძნელია მიღწევა იქამდის, რომ როდესაც მასწავლებელი ერთ განყოფილებაში მეცადინობს, სხვა განყოფილების შეგირდები ერთს წუთსაც არ მოცდენ საქმეს, ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უკეთესი გონება გამჭრიახი მოწაფე თავის ამხანაგებზე ადრე გაათავებს სამუშაოს; შემდეგ სხედან უსაქმოდ და იწყებენ ცელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობას, ეშმაკობას. მასწავლებელმა თუ შეწყვეტა მეცადინობა უდროოდ იმ განყოფილებაში, რომელშიდაც თვითონ მეცადინობდა, საქმეს ბევრს ვერ უშველის, რადგანაც ერთს საქმეს გააკეთებს, მაგრამ მაშინ მეორეს ახდენს. მეორეს მხრით ძნელია ისიც, რომ კაცმა მათემატიკურის სინამდვილით გამოიანგარიშოს, რამდენ დროს მოითხოვს, შემუშავებისათვის რომელიმე სასწავლო მასალა. რაც უნდა იყოს, მასწავლებელი მაინც უნდა ცდილობდეს დაახლოვებით შეძლებისა-და-გვარად შეუხამოს, შეუფარდოს მიცემული სამუშაო დროს, რომელიც მის შესასრულებლად არის დანიშნული.

გ) დამოუკიდებელი სამუშაოები არასოდეს არ უნდა გაირჩეოდეს ნამდვილ გაკვეთილებისაგან: ხშირად მოხდება, რომ მასწავლებელი ამგვარ სამუშაოებს უყურებს, როგორც ბავშვების შესაქცევარ საშუალებას იმ დროს, როდესაც ის სხვა განყოფილებაში მეცადინობს; ამიტომ ზოგი მასწავლებელი მცირე ყურადღებას აქცევს როგორც გამორჩევას ამგვარ სამუშაოებისას, ისე მათ შესრულებასაც, აქედგან საკვირველი არ არის, რომ ეს გადაეცემათ ბავშვებსაც, რომლებიც დამოუკიდებელ სამუშაოს ისე დაუწყებენ ცქერას, როგორც ან შესაქცევარ რასმეს და ან არა საჭირო სამუშაოს, რომლის შესრულება, შეკეთება შეიძლება როგორც მოხდება, მხოლოდ მოწაფეები კი უსაქმოდ არ ისხდენ. თქმა საჭირო არაა, თუ რამდენი ბოროტება მოსდევს ამგვარად საქმის წაყვანას. პირიქით, თუ მოწაფეები ხედვენ, რომ მასწავლებელი უყურებს დამოუკიდებელ სამუშაოებს სერიოზულად, როგორც ნამდვილ გაკვეთილებს და არა შესაქცევარ რასმე — თვითონ ისინი მოეპყრობიან სერიოზულად, საჭირო პატივ-სცემით. დ) ერთ ხასიათნი გაკვეთილები ერთად არ უნდა დაინიშნონ, რადგან ერთგვარობა მეცადინეობის საქმეში ძლიერ სწყინთ ბავშვებს და ღალავს, ჰფანცავს, როგორც გონებითს ძალას, აგრეთვე ბავშვების გარეგან გრძნობებსაც. ამიტომ პედაგოგები არ ურჩევენ მასწავლებლებს წერისა და გადაწერის, ხატვისა და წერის გაკვეთილები ერთმანეთს მოაბან და სხ. ორი საათის ძალდატანებას თვალებისას, წერის დროს, განსაკუთრებით ცუდათ განათებულ ოთახში, შეუძლია ცუდათ იმოქმედოს ბავშვის მხედველობაზე. ამნაირად გაგრძელებულმა მუშაობამ ანგარიშშიდაც, რომელიც ითხოვს განსაკუთრებით გონების ძალდატანებას, არ შეიძლება არ მოღალოს, მოქანცოს ბავშვის უმთავრესი შემგნებელობითი ნიჭიერება: ყურადღება, გულის ყური, მეხსიერება და აზროვნობა; ამიტომ სასარგებლოა, რომ ყოველ ნახევარ საათის შემდეგ იცვლებოდეს სამუშაოები.

პირველ-დაწყებით სკოლების მოწყობაზე, სასწავლო საგნებზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა ჩვენსა და უცხო მწერლობაში და დღესაც ბევრს ლაპარაკობენ. ბევრიც ეხლა იმ აზრისაა, რომ პირველ-დაწყებით სკოლის მიზანი წერა-კითხვას და მცირე ანგარიშის შესწავლაში მდგომარეობსო, ზოგი ამბობს, რადგანაც სკოლა ყოველთვის ხალხის სასარგებლოდ არსდება და ჩვენი ხალხი საზოგადოდ მიწათ-მოქმედი ხალხია, ამიტომ ჩვენთვის უფრო საჭიროა სამეურნეო სკოლებიო. ზოგი ამბობს სოფლის სკოლის კურსი ცვალებადია, არავითარი მუდმივი არა აქვსო, ზოგი კი პირიქით ამტკიცებს, რომ საფუძველი ელემენტარული სკოლის კურსს აქვს მუდმივი და საზოგადოებრივი, რადგანაც ის გამოდის კაცობრიობის დედა აზრიდგან ბავშვის გახსნა-განვითარებაზე. კანონმდებლობით მიზანი პირველ-დაწყებითის სკოლისა შემდეგში მდგომარეობს: განმტკიცება ხალხში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ცნობებისა და გავრცელება პირველ-დაწყებით სასარგებლო ცნობებისა. ამის მიხედვით პირველ-დაწყებით სკოლების სავალდებულო კურსს ჩვენში შეადგენს შემდეგი საგნები: საღმრთო სჯული, რუსული და ქართული ენები, არითმეტიკა, გეომეტრია; სამშობლო ისტორია და გეოგრაფია, გალობა და გიმნასტიკა. თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ყველა ამ საგნებს პირველ-დაწყებით სკოლებში საზოგადოდ და ჩვენ სკოლებში კერძოდ, ამაზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

ლ. ბოცვაძე.

# ფ უ ფ უ ნ ე ბ ა

(გაგრძელება *)

ფუფუნება შეიძლება განვიხილოთ მესამე მხრითაც, ე. ი. კანონმდებლობითის მხრით. მართლაც, შეიძლება კითხო თავის თავს, მოსათავსებელია თუ არა ფუფუნება უფლებასა და სამართლიანობასთან. ქრისტიანული გადმოცემა პირდაპირ უარჰყოფს — არაო და სახარებაში ბევრია ამის დამამტკიცებელი ადგილები. ლაზარე მიღებულია აბრაამის წიაღში, მდიდარი კი ჩავარდა ცეცხლის გენიაში. უფრო ადვილიაო აქლემი, თუ აქლემის მატყლის ბაგირი, გაძვრესო ნემსის კუნწში, ვინემ მდიდარი შევიდესო ცის სასუფეველში. «ვაი თქვენდა მდიდარნო, ვინათგან პოვებთ ბედნიერებას ამ ქვეყნად“. ფუფუნება, რაიცა შეადგენს თვითმოყვარეობითს და უმართლო სარგებლობას სიმდიდრით, ერთბაშათ განკიცხულია ქრისტიანულის ზნეთმოძღვრებით. ეკკლესიის მამანი თანახმანი არიან რაოდენსამე თანასწორობაზე უფლებისაებრ. ვისაც მომეტებული აქვს, მას არ შეუძლია კანონიერად მოიხმაროს იგი მხოლოდ თვისდა სასარგებლოთ. მან უნდა გაუყოს აგი უქონელს. «მდიდარი არისო მხოლოდ ეკონომი ღარიბისა, ამბობს ერთი მქადაგებელი, ღმერთმა ადამიანები დედამიწას დააპატრონა იმისთვის, რომ მათ ისარგებლონ მისი ნაყოფით, თვითეულმა თავის მოთხოვნილებათაებრ... როცა მდიდარი სამოწყალოს იძლევა, იგი ტყუილათ ნუ იკვეხნის სიუხვეს, იმიტომ რომ ეს სამოწყალო არის ვალი, რომელსაც ის იხდის; ეს კანონიერი ნაწილია ღარიბის საკუთნელი და ამის უარყოფა იქმნებოდა უსამართლობა“. წინაალმდეგ უთანასწორობისა და მისის შედეგის ფუფუნებისა ეკკლესიამ დაასახელა მხოლოდ ერთი წამალი: მოწყალება და მარად მოწყალება. მაგრამ რა უნდა ვქმნათ, როცა საპოლიტიკო ეკონომია ამტკიცებს, რომ მოწყალების გაცემას მოსდევსო უქმობა, გლახაობა, უმოძრაობა, ხასიათების დაქვეითება და რომ, ბოლოს იგი არაა სამართლიანი, რაკი ამას იხდის ამა თუ იმა საშუალებით ისევ ის არმუშების სასარგებლოთ მომუშავენი თუ ღალის, თუ ხარკის სახელ.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 13, 1893 წ.

ავტორი სახელოვანის თხზულებისა «ძ ა ლ ი რ ჯ უ ლ თ ა» მონტესკიო მოწმობს: «კერძო სიმდიდრენი დიდდებიან მხოლოდ წართმევის თუ გამოტყუების საშუალებით მოქალაქეთა ერთის ნაწილისგან იმისა, რაც მათთვის მიუცილებელია ფიზიკურათ; ამიტომ რიგია და მართებული დაუბრუნდეს მათ წანართმევი». მაგრამ რა გზით? — იმ გზითაო, გვიპასუხებს დიდებული საპოლიტიკო მწერალი, რომ მდიდრებმა უნდა ფლანგონო თავიანთი სიმდიდრე და მთავრობამაც, თუ საჭირო იქმნეს, აიძულოსო ისინი იმაში. ესეც მეორე შემცდარი შეხედულება. ჭეშმარიტი საშუალება უფრო მდგომარეებს იმაში, რომ მიენდოს საკუთრება, რაც შეიძლება, მომეტებულ რიცხვს მოქალაქეთა. მოახდინეთ ისე, რომ თვითეულს ქონდეს ნაჭერი მიწა, ერთი სამრეწველო აქცია, თუ აბლიგაცია, ერთი სიტყვით პატარა სათავნო, კაპიტალი. გაასათვითოეთ საკუთრება, და მაშინ, რაკი თვითეული ისარგებლებს თვისის შრომის ნარეწით, გაქრება ის, განკიცხული საპოლიტიკო ეკონომიისა და ქრისტიანობისგან, უმართლო ფუფუნება, რაიცა მოუშორებელი შედეგია უთანასწორობის. თუ კი მექანიკის წარმატებანი გაადიდებენ ნარეწებს და უფრო ლამაზათ გახდიან მათ, ისინი ყველასათვის ხელმისაწდომი გახდებიან.

დიდებულ ვოლტერს ხომ ბევრი საფუფუნო უხიაგობა სჭირდა და გამოუთქვამს კიდეცა, მაგრამა აი კიდევ რასა სწერს თავისის „ფილოსოფიურ ლექსიკონში“: «თუ ფუფუნებად ჩავთვლით ყოველ იმას, რაც საჭიროებას აღემატება, მაშინ ფუფუნება ყოფილა ბუნებრივი შედეგი კაცთანათესავის წინსვლისა და ამასთანავე მიუცილებელი შედეგი საკუთრებისა, ურომლისოთ ვერ იარსებებს ვერავითარი საზოგადოება. შედეგია იგი აგრეთვე მდგომარეობათა უსწორმასწორობისა, რომელიც გაუჩენია საკუთრების უფლებას კი არა, არამედ ცუდ კანონებს. ცუდი კანონებია ფუფუნების მშობელ-აღმზრდელი, კაი კანონები კი ამიტომაც მისი მომსპობია. ზნეთმოძღვარნი უნდა მიმართავდენ თავიანთ ქადაგებით კანონმდებელთა და არა კერძო პირებს. ეს იმიტომ რომ ადვილი შესაძლოა რომ განათლებულს და კეთილმოქმედ კაცს ქონდეს ხელთუფლება გამოსცეს გონიერი კანონები, მაშინ როცა ადამიანის ბუნების შეუფერ-

ბელია, რომ ყველა მდიდრებმა უარყონ, გულკეთილობით, თავანთი ფულით მოსაპოებელი, სიამოვნენი და დიდრაჯობა.

მხოლოდ ერთი გვარის ფუფუნება არის შესაწყნარებელი; ეს არის საზოგადოებითი ფუფუნება, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იგი იყოს გონივრათ გაგებული. ამ გვარი ფუფუნება მოაპატიჟებს ხოლმე საზოგადოებას ისიამოვნოს ზოგიერთის საამური საგნებით, როგორც, მაგალითათ: საჯარო ბაღებით, შადრევნებით, თეატრებით, მუზეიებით, წიგნთსაცავებით, აბანოებით, ტაძრებით და მისთანებით. იგი თვალწინ უშლის საუნჯეებს შვენიერისას უმეტესობას, რომელსაც ღონე არ აქვს საკუთრებად შეიძინოს ნაწარმოები ქანდაკებისა, მხატვრობისა და სხ. ამგვარს ფუფუნებას აქვს ხელოვნებისათვის მუზეიები, ისე როგორც მეცნიერებათათვის და მწერლობისთვის წიგნთ-საცავები, ობსერვატორიები, საცდელი სადგურები, და მრეწველობისთვის გამოფენები. ყოველ კერძოთი და ყოველი სახით ამისთანა შემკრებელობითი ფუფუნება, თუ იგი გონივრათ მიმართულია, დიდი სარგებლობის მომტანია ყველასთვის. იგი ამაღლებს საერთო დონეს და აწყოფიერებს მრეწველობის გენიას. ეს საზოგადოებითი ფუფუნება გარდა ამისა გვიწევს კიდევ ერთ დიდ სამსახურს; იგი აქარწყლებს იმ თვითმოყვარებას და განმარტოებას, რაც ჰქირს კერძო პირთა ფუფუნებას. საზოგადოებითი ფუფუნება მთელის ამრავისთვის ხელმისაწდომად ხდის იმ სიამოვნეთა, რითაც განცხრების ჩვეულებრივათ მხოლოდ ერთი მდიდარი, ან ზოგჯერ პირთა ცოტაოდენი რიცხვი. ნამდვილი სიამოვნებაც მაშინაა, როცა სხვანიც სიამოვნებენ. ჩაკეტილი სიამოვნება სხეულის სულის ნაყოფია, თვითმოყვარებისგან წარმომდგარი. «ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან (გაურბიან) სიამენი სოფლისა», ამბობს პოეტი.

## როდის დაიწყეს და როგორ ვრცელდება თამბაქოს ხმარება და რა შედეგი აქვს ადამიანს ჯანმრთელობაზე თამბაქოს ხმარებას?

ბევრ მკითხველთაგანს ემახსოვრება, რომ წარსულ 1892 წ. ოქტომბრის 12 შესრულდა 400 წ., რაც ამერიკა აღმოაჩინეს. 400 წელი განვლო აგრეთვე მას აქედ, რაც ევროპაშიდ პირველად შემოიღეს თამბაქოს წევა.

1492 წ. ქრისტეფორე კოლუმბმა პირველად ნახა გვანაგანის კუნძულზედ ინდოელები, რომელნიც ეწეოდნენ თამბაქოს, ხოლო ისპანიელებმა 1519 წ. ნახეს, რომ მთელს მექსიკაში გავრცელებული იყო თამბაქოს წევა. ერთმა ისპანიელმა ბერმა რომანე პანეიმ 1499 წ. სან-დომინგოს კუნძულზედ ნახა თამბაქო და იტალიაშიდ წაიღო; ეს არის პირველი ცნობა თამბაქოს შემოღების შესახებ ევროპაშიდ.

1559 წ. საფრანგეთის ელჩმა ივანე ნიკოტიიმ პირველად გაგზავნა პორტუგალიიდგან საფრანგეთშიდ თამბაქოს თესლი. გოლლანდიაშიდ უკვე ეწეოდნენ თამბაქოს 1570 წ. განათლებულთ ინგლისის ზღვით მოგზაურთ ველურმა ხალხმა გააცნო თამბაქოს ხმარება და 1585 წ. ინგლისშიდაც შემოიღეს. რუსეთშიდ თამბაქოს ხმარება გავრცელდა დასავლეთ ევროპიდგან მე-XVII საუკუნის დასაწყისს. სხვა-და-სხვა გვარის თამბაქოს ფურცლებიდგან აკეთებენ მოსაწევ, საყნოსველ და საღეჭ თამბაქოს, მაგრამ რისთვის ეწეოდნენ თამბაქოს, ამის შესახებ პასუხის გება ძნელია. ყოველ შემთხვევაშიდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მიჩვეულთათვის თამბაქო შეადგენს რაღაც ხორციელ მოსვენებას, სულიერი კმაყოფილების დაურღვევლათ, რადგანაც ცნობილია, რომ თამბაქოს წევას აღმძვრელი მოქმედება აქვს განსაკუთრებით პირის, ხახის, ცხვირის და სასუნთქავი ყელის ნერვებზედ, აგრეთვე თავის და ხერხემლის ტვინზედ და საზოგადოდ მთელ ადამიანის აგებულებაზედ. რაც უფრო ხშირ-ხშირათ ხმარობს ადამიანი ამნაირ აღმძვრელ ნივთიერებას, მით უფრო ის აუცილებელ საჭიროებად გარდაექცევა მას, რადგანაც ადამიანის ნერვების სისტემა ავადოებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცვლება. ვნებს თუ არა ადამიანს თამბაქოს წევა? თამბაქოს წევა ძლიერ მავნებელია ადამიანის აგებულებისათვის, მეტადრე ახალგაზდა ყრმათათვის. რადგანაც ჯერ დაუმდგარ ორგანიზმს უშლის ფიზიკურ განვითარებას და უჩენს გულის ანორმალურ მოქმედებას. იგი განსაკუთრებით ავნებს გულს და ეკუთვნის გულის საწამლავებს. რა არის მიზეზი ამგვარის მავნებლობისა? უმთავრესს მიზეზად ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ის, რომ თამბაქოს ფურცლების და კვამლის შემადგენელ ნაწილებ შორის არის საშინელი საწამლავი, რომელსაც „ნიკოტინს» ეძახიან (Nicotianum tabacum). ნიკოტინი აღმოაჩინეს 1809 წ. მაღალ ხარისხის თამბაქოშიდ ნაკლებად არის ნიკოტინი, მინემ დაბალ ხარისხისაშიდ. ნიკოტინს გარდა, თამბაქოს ფურცლებშიდ და კვამლშიდ სხვა-და-სხვა გესლიანი ნივთიერებანიც არიან: მჟავე გესლიანი წყალი, (синильная кислота), ნახშირ-მბადის ჟანგი (окись углерода), ნახშირის სიმჟავე (угольная кислота), ეთერის ზეთი (эфирныя масла) და სხვ.

ნიკოტინი არის გესლი, რომელიც თავდაპირველად ადამიანს აღუძრავს და მერმე უდუნებს ნერვების სისტემას. მიუჩვეველმა კაცმა რომ მოსწიოს თამბაქო და გადაყლაპოს კვამლი —მას ჩვეულებრივ მომაკვდავის სიყვითლის ფერი გადაეკვრის სახეზედ, პირის სახე დაეღმანჭება, შუბლი და ხელები გაუოფლიანდება, მაჯის ძარღვი გვიან-გვიან უწყებს ცემას, პირიდგან ნერწყვი დაუწყებს დენას, მუხლები ძლიერ უსუსტდება, გულს მოწყვეტილად გრძნობს და ბოლოს პირიდანაც წააზიდებს. ამ მდგომარეობიდგან მალე იფხიზლებს კაცი და რჩება, მაგრამ დროებით უტოვებს თავის ტკივილს, მადა ეკარგვის და თამბაქოს ბოლი საშინლათ ეზიზღება. თუმცალა ასრე საშინლათ შეაწუხებს ადამიანს პირველად თამბაქოს მოწევა, მაგრამ ის, რაღაც თავის გაუგებარი მიზიდულობით, ხელახლა იმეორებს მეორეთ და მესამეთ თამბაქოს წევას, და, ბოლოს, რადგანაც ორგანიზმი თან-და-თან იწამლება, ადამიანი მთლათ ეჩვევა თამბაქოს წევას. რაკი კაცი ერთხელ მიეჩვევა რამეს—მერმე იმის გადაჩვევა მეტად საძნელოა: «ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესია“-ო ამბობს ქართული ანდაზა და ადამიანიც ძლიერ ცუდათა გრძნობს თავის თავს, თუ რომ თავის დროზედ არ დააკმაყოფილა თვისი არა ნორმალური მოთხოვნილება. ყველა აქ მოხსენებული წარმოსდგება იმის გამო, რომ კაცი, როდესაც პირველად იწყებს თამბაქოს წევას, არ აძლევს თავის თავს ანგარიშს, თუ რათ უნდა მოსწიოს თამბაქო; არამედ ხედავს, რომ სხვებიც ბევრნი ეწევიან—ისიც ჰბაძავს იმათ (ალბათ ასე უნდაო) და ბოლოს, ამ წინდაუხედავი და გაუგებარი მიბაძველობით ხდება ყურმოჭრილ მონათ თვისი გაუგებარი საქციელისა და ბუნების წინააღმდეგი მოთხოვნილებისა. თუ რომ ნიკოტინი ბევრი შეერია ადამიანის სისხლს, კაცს ეს საწამლავი ცნობას უკარგავს, მაჯის ძარღვის ცემა მთლად უქრება, სულთქმა შეეხუთება და კვდება. საკმაოა კაცმა 1—2 წვეთი ნიკოტინი მიიღოს, რო მოიწამლოს და მოკვდეს, მაგრამ ადამიანი ერჯერ და ორჯერ თამბაქოს მოწევით ძლიერ ცოტასა ჰყლაპავს ნიკოტინს, მაგ. $1/_{10}$ წვეთს და კიდევ უფრო ცოტას, რომლის გამო ის თანდათან ეჩვევა გესლიან ნივთიერების შეთვისებას და ის წინანდელი 1—2 წვეთი, რომელიც მას პირველად რომ მიეღო, უსათუოდ მოჰკლავდა—შემდეგ, ადვილათ შესაძლებელია, რომ 1—2 წვეთი ერთბაშათ მიიღოს და არ მოკვდეს, ე. ი. ადამიანის აგებულება მოიწამლა, შეეჩვია მომწამვლელ ნივთიერებას და ადვილათ შეუძლიან აიტანოს ზომაზედ მეტიც, თუ რომ შემთხვევამ მისცა *). ყველა ამაებს ის შედეგი აქვს, რომ ადამიანს თვეობით და წლობით ეჩნდება სხვა-და-სხვა ორგანოების სნეულებანი: კუჭის, სასულეს, სასუნთქავი ყელის და ფილტვების ავათმყოფობანი (катарры). რომ თამბაქოს წევა მავნებელია, ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, აწ განსვენებული, დიდათ ცნობილი რუსეთის პროფესორი ს. პ. ბოტკინი; აი რას ამბობს ის: «ჩემი ექიმობის პრაქტიკიდგან ბევრი კაცის გადარჩენა შემეძლო უდროოდ სიკვდილისაგან, თუ რომ მე შემძლებოდა იმათ ხელიდგან პაპიროსის გამოგლეჯაო“ და სხვ. თუმცალა ცხადად არის

*) ამას თვით ფიზიოლოგიის კანონი გვიმტკიცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვლეული და დამტკიცებული თამბაქოს მავნებლობა, მაგრამ სამწუხაროდ, თამბაქოს მოყვანა უფრო-და-უფრო ვრცელდება. რომ თამბაქოს ხმარება ყოველ წლობით მატულობს, ამას გვიმტკიცებს შემდეგი ციფირები:

1882 წ. ითვლებოდა რუსეთშიდ 288 თამბაქოს ქარხანა და 1885 წ. ამ რიცხვმა 419-დე ააღწია. თამბაქოს მექარხანის ბ. მანგუბის გამოცხადებულ ცნობებიდგან სჩანს, რომ 1892 წ. რუსეთშიდ თამბაქო მოუწევიათ:

| | | |
|---|---|---|
| დაბალი ხარისხისა (მახორკა) | 2,500,000 | ფუთი |
| სიგარები | 66,000 | » |
| პაპიროსები | 377,000 | » |

პეტერბურღშიდ პაპიროსებს უფრო ეწევიან და ყოველ წლობით $1^1/_2$ მილლიარდი ცალი იხარჯება. 1892 წ. ჩვენ თამბაქოს მეფაბრიკეებს გამოუშვიათ;

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარის პაპიროსები | 13,000,000 | ცალი |
| მეორე » » | 3,000,000 | » |
| მესამე » » | 27,000,000 | » |

რითი უნდა აიხსნას ამისთანა საოცარი გავრცელება თამბაქოს ხმარებისა? რასაკვირველია, ერთი მეორის მიბაძვით და ჩვეულების წყალობით. უმთავრესს მიზეზათ თამბაქოს ამგვარი გავრცელებისა უნდა ჩაითვალოს სასწავლებლები, სადაც ახალ შესულნი ყმაწვილები, რაკი ხედვენ, რომ მათი ამხანაგები ეწევიან — ისინიც თავის თავის ანგარიშის მიუცემლათ ჰბაძვენ თავიანთ ამხანაგებს და ეჩვევიან ამ საზიზღარ საქციელს, როგორიც არის თამბაქოს წევა. დიდათ სასიამოვნო იქნებოდა, რომ როგორც დაბალ ისე საშუალო სასწავლებლებშიდ მასწავლებლები და უფროსები უფრო რიგიან ყურადღებას მიაქცევდნენ ამ გარემოებას, ვიდრე აქამომდე. საჭიროა აგრეთვე, რომ მასწავლებელნი და თვით მშობლები თვითონ არ აძლევდნენ მაგალითს ყმაწვილებს და იმათთან არ ეწეოდნენ თამბაქოს, რადგანაც ყმაწვილი, რაკი ხედავს, რომ მისი უფროსი ეწევა — თითონაც ცდილობს მიჰბაძოს მას და ვერაფერი გზით ვერ დააჯერებთ, რომ თამბაქოს წევა მავნებელია. ამ ჰაზრის შესახებ რუსეთის გამოჩენილი მწერალი ლ. ტოლსტოი ამბობს: „Кто куритъ въ присутствіи дѣтей, тотъ совершаетъ преступленіе». სიმართლის გულისთვის შევნიშნავთ, რომ ეხლანდელ დროშიდ, კაცებს გარდა, ქალებიც ეწევიან თამბაქოს — მეტადრე მაღალ საზოგადოების — «განათლებულნი» ქ-ბნი, რომელთა სისხლშიდ ნიკოტინი შედის თუ არა, ცხადია, რომ ცუდ შედეგს იქონიებს, როგორც თვით მწეველ დედაზედ, აგრეთვე ახალ ჩასახულ ყრმაზედაც. როგორც ვფიქრობთ, წმინდა ეკკლესიაც უდკრძალავს ეკკლესიის მოსამსახურეებს თამბაქოს წევას; რასაკვირველია, ურიგობა იქნება სწორეთ, თუ რომ მღვდელმა დილას თამბაქო მოსწია, გამოიკვება თამბაქოს კვამლით და მივიდა ეკკლესიაშიდ ღვთის სამსახურის შესასრულებლად. ან და, რა ჰაზრი უნდა შეადგინოთ თქვენ იმ ექიმ, გინა ფელშერზედ, თუ რომ პირველი ან მეორე დაიწყებს თამბაქოს წევას იქ, სადაც, სახნეულოშიდ, ავადმყოფები წევლარიან?

**სარდიონ ბ. მამალაძე.**

---

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, რომ ნება-დაურთავსთ ყოველ თთვიურ სამეცნიერო ჟურნალის «მოამბის» გამოცემაზე. ამ ჟურნალის რედაქტორად იქნება ბ. ალ. ჭყონია, ხოლო გამომცემელად ბ. ნიკო ბეს. ლოლაბერიძე. ჟურნალი წლით ეღირება 10 მ.

***

ნუ დაუჯერებთ თბილისის გაზეთებს, რომელთაც გამოაცხადეს, რომ თბილ. სას. სემინ. ყოფილი რექტორი მ. არქ. ტიხონი გარდაიცვალაო. პეტერბურგში არქიმანდრიტი ტიხონი გარდაიცვალა, მაგრამ ის სულ სხვა ტიხონი იყო.

***

«ივერია»-ში ამ წარსულ თთვის რიცხვში დაიწყეს ხელის მოწერა შოთა რუსთველისთვის ძეგლის ასაგებად. ამ საგანზე იმავე გაზეთში დაიბეჭდა ბ-ნის მეველე'ს მეთაური წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის მადლობას უძღვნიდა ერთს საპატიო უცხოელს პირს, და ამბობდა, ვითომც მას პირველად აღეძრას ეს საგანი და მოეგონებინოს ქართველობისათვის დიდებულის პოეტის მიმართ დავიწყებული მოვალეობა.

ეს უკანასკნელი გარემოება რომ ნამდვილი იყოს, მაინცა და მაინც კარგს აზრს ვერ შეადგენდა ჩვენს ეროვნულს შემეცნებაზე, თუ გინდ თვით იგივე მართლაც და საპატიო უცხოელი, რომელმაც წელს საშიოდე მანეთი გაუგზავნა «ივერიის» რედაქციას რუსთველის ძეგლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვაგონებთ მკითხველს საზოგადოებას, რომ რუსთველის ძეგლის ასაგებად ხელის მოწერა გამართული იყო უკვე 12 წლის წინად «დროების» თაოსნობით (1881 წ.) და კიდეც შეიკრიბა მაშინ ამ ყოვლად სიმპატიური საგნისთვის ორასიოდე თუმანი. შემწირველთა სიები წესიერად იბეჭდებოდა ხსენებულს გაზეთ «დროება»-ში რომელიც შემდეგ იყიდა ს. მესხისაგან პატივცემულმა ი. გ. მაჩაბელმა.—სხვა მოვალეობასთან ერთად ხომ არ გადასულა ბ. მაჩაბლის ხელში ზემოხსენებულის საგნისთვის მოგროვებული ფულიც?

ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ თუ ბ-ნის მაჩაბლის ხელში გადვიდა მაშინ ის ფული, დღეს იგი ნამთავნით იქნება დანიშნულებისამებრ მოხმადებული, რადგან ყველამ კარგად ვიცით ბ. მაჩაბლის საზოგადო საქმისათვის გულშემატკივრობა და უანგარო პატიოსნება. და თუ მის ხელში არ გადასულა ის ფული, მაშინ ყოველივე იმედი უნდა გადვიწმინდოთ მისი კვალის პოვნაზედაც-კი...

***

ბ. ილია ფერაძეს, რომელმაც წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ღვთის-მეტყველების კანდიდატის ხარისხით, გადაუთარგმნია ქართულ და რუსულს ენაზედ ფრანგის ეპისკოპოსის ფენელონის თხზულება «ქალწულთა ზრდის» შესახებ. ეს თარგმანი ამ მოკლე ხანში დაისტამბება.

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად წერილები შემდეგ პირთაგან:

1) სოფლის ხონის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდლის დავით კერქ-ნაძისაგან:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ეკლესიას სხვა-და-სხვა ნივთები. აი შემწირველთა სია: ფილისტინა მაჭავარიანისა აბაშიძის ასულმა ოლარი და ფილონი ხავერდისა სამგლოვიარო, ღირებული 18 მ.; ზურაბ ლამბაშიძის ასულმა ანნამ სახარების მოსაჭედად 4 მ.; ელიზბარ გაბეხაძის ქვრივმა ტრაპეზის ჯვარი, ღირებული 3 მ. და მალაქია პაპიძემ ერთი პატარა ღვთის-მშობლის ხატი, ღირებული 1 მანეთად.

2) მღვდლის მელიტონ ჯორბენაძისაგან:

„მ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულ ღვთის მოყვარე პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ლესის ღვთის-მშობლის ეკლესიას ფულები და სხვა-და-სხვა ნივთები: ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლემ დავით დიმიტრის ძე მგელაძემ თოთხმეტ მანეთად შეამკობინა სახარება აბრეშუმის ხავერდითა და მაცხოვრის მახარებლების ხატებით; კაპიტანმა კონსტანტინე ასალოს ძე ჭყონიამ ერთი კარგი კანდელი, 1 წყვილი ბარძიმ-ფეშხუმი თავისი მოწყობილობით და ოქრო-მკედით ნაქსოვ დაფარნით, 1 წყვილი ტრაპეზზედ დასადგამი სასანთლეები, 1 ტრაპეზზედ დასადგამი სანაწილე, 18 არშინი პუდესოს მატერია, რომელიც მოვიხმარეთ ტრაპეზის გადასაფარებლად და სამეუფო კარების დასაბურავათ, 4 პატარა ხატები და 1 ხელი მღვდლის შესამოსელი; ყველა ზემო აღნიშნული ნივთები ღირებულია 281 მანეთად; მატა თავართქილაძის ასულმა ჭყონიასამ 1 წყვილი მაღალი სასანთლეები, ღირებული 25 მანეთად; აზნ. მიხაილ ასალოს ძე ჭყონიამ 1 ჯვარი, ღირებული 3 მან.; აზ. დიმიტრი დავითის ძე გელაძემ 3 მან. ფული, 1 პატარა კანდელი, 4 პატარა ხატი მაცხოვრისა და ღვთის-მშობლისა, სულ ღირებული 14 მანეთად.

სასურველია, რომ ზემოდ დასახელებულ პირთა მაგალითს სხვებმაც წაბაძონ და მითი შემწეობა აღმოუჩინონ ჩვენ ღარიბ ეკლესიებს.

3) თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის ათანასისაგან:

«უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ სოფელს ანტოფეს მცხოვრებს დიმიტრი ნადარეიშვილს, რომელმაც შესწირა ჩემდამო რწმუნებულს დედათა მონასტერს გარდამოხსნა, ღირებული ასი მანეთისა».

## უმაღლესი რესკრიპტი

### ეჩმიაძინის უწ. პატრიარქ-კათალიკოზის მკრტიჩის სახელზედ.

უწმიდესო პატრიარქ-კათალიკოზო ეჩმიაძინისა მკირტიჩ.

დიდის ხნის თქვენმა სასულიერო ასპარეზზედ მოღვაწეობამ მოუპოვა თქვენს უწმინდესობას ნდობა სომხის ერისა, რომელმაც აღგირჩიათ თქვენ წმიდა გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის საპატრიარქო ტახტზედ ასასვლელად.

ვხედავ-რა თქვენს მღვდელ-მთავრულს მოქმედებაში იმედს ესოდენ ჩემს მიერ საყვარელ სომხის ეკკლესიის სიკეთისას და მის ძეთა სასულიერო წარმატებისას, უმოწყალესად გიბოძებთ თქვენ, ბარტყულაზედ სატარებლად, ალმასის ჯვარსა — ნაკურთხს ნიშანს სარწმუნოებისას, განმახნევებელს მწყემათაცა და სამწყსოთაცა.

მივანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, გგიებ მარად თქვენთა მწყალობლად.

ნამდვილს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია:

„ალექსანდრე"

---

### ნ უ ს ხ ა

ნუსხა სასულიერო წოდების იმ პირთა, რომელთაც საეპარქიო უწყებაში სამსახურისათვის პენსია დაენიშნათ.

1893 წლის მარტის თთვისა.

საქართველოს საექსარხოსოში:

იმერეთის ეპარქიის სოფ. კისორეთის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს დავით ლომთაძეს 1892 წ. 20 ოქტომბრიდგან დაენიშნა 130 მ. ქუთ. სამაზრო ხაზინიდგან.

ქუთ. მთავარ-ანგელოზის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ბესარიონ გიორგაძეს 1892 წლის 9 სექტემბრიდგან დაენიშნა 130 მ. ქუთ. სამაზრო ხაზინიდგან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცალენჯიხის მაცხოვრის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ნიკოლოოზ თვალთვაძეს 1891 წ. 20 მარტიდგან დაენიშნა 130 მ. სენაკის სამაზრო ხაზინიდგან.

იმავე ეპარქიის ლაჩეპიტის მაცხოვრის ჯვარცმის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს გიორგი მამარდაშვილს 1890 წ. 9 აპრილიდგან დაენიშნა 130 მ. ქუთ. სამაზრო ხაზინიდგან.

იმავე ეპარქიის ორპირის მთავარ-ანგელოზის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს სიმონ ჭეიშვილს 1892 წ. 3 ივნისიდგან დაენიშნა 130 მან. ფოთის სამაზრო ხაზინიდგან.

იმავე ეპარქიის ლიხაურის ყოვლად წმ. ღვთისმშობლის ეკ. პენსიის მქონე მღვ. ეგნატე კონტრიძის ქვრივს ეფემიას 1892 წ. 9 იანვრიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაენიშნა 65 მ. ფოთის სამაზრო ხაზინიდგან.

იმავე ეპირქიის ხორგის მთავარ-ანგელოზის პენსიას მქონე მღვ. სიმონ ბერაიას ქვრივს გულქანს 1892 წ. 28 მაისიდგან დაენიშნა 65 მან. ფოთის სამაზრო ხაზინიდგან.

იმერეთის ეპარქიის მერჯევის სამრევლო პენსიის მქონე მღვ. გიორგი ციკვაძეს ქვრივს 1892 წ. 10 აპრილიდგან (ქმრის გარდაც. დღიდგან) დაენიშნა 65 მ. ქუთ. სამაზრო ხაზინიდგან.

სოხუმის ეპარქიის ჩიბურისხინჯის პირველ სამრევლოს მღვ. იორდანე გაბისონიას ქვრივს მარიამს 1892 წ. 10 აპრილიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაენიშნა 65 მ. სოხუმის სამაზრო ხაზინიდგან.

ქართლ-კახეთის ეპარქიის ბუშათის ცხოველმყოფელ სვეტის ეკ. მღვ. ვასილ ხატიაშვილის ქვრივს მელანიას 1889 წ. 17 დეკემბრიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაენიშნა 65 მან. თელავის სამაზრო ხაზინიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი.

## სახელმძღვანელონი და სხვა წიგნები,

**დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.**

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსის კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული, სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნაღდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი, საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

ძირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

(10—4)

---

**მღვდლის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ. გამოცემულნი წიგნები:**

1) სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად: ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ლოცვების, სიმვოლო სარწმუნოების და ათი მცნების ახსნა, დაწყებითი სწავლა საეკლესიო ისტორიიდგან და სწავლა ღვთის მსახურებაზე. ფასი თოთხმეტი შაური. . . 70 კ.

2) «ცოლ-ქმარი» აზრი და სწავლა ცოლ-ქმრობაზე საღვთო წერილისაგან გამოკრებილი. ფასი ერთი შაური . . . . 5 »

3) ღირსი მამა დავით გარესჯელი ფასი ორი შაური . . . . . 10 »

ისყიდება თბილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნების მაღაზიაში; ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიაში და თვით შემდგენელთან; ხონში ძმ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში მთავარ დიაკ. ისიდორე ნადირაძესთან.

---

შინაარსი: უკეთესი იქნება, რომ შინაურ მართვა-გამგეობასაც მიექცეს ყურადღება.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში.—ორიოდე სიტყვა ბ. ს. თოფურიას სამკურნალოს შესახებ.—პედაგოგიური შენიშვნები სამრ. სკ. მასწავლებელთა საყურადღებოდ.—ფუფუნება.—როდის დაიწყეს და როგორ ვრცელდება თამბაქოს ხმარება და რა შედეგი აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე თამბაქოს წევას?—ახალი ამბები და შენიშვნები.—უმაღლესი რესკრიპტი.—ნუსხა.—საზოგადოების საყურადღებოდ.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Іюля 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.